დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109253165**
თარიღი:**12/11/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად და საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტი, ცხრილის შესაბამისად:

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის პირთა რაოდენობა	საწვავის ტიპი	საწვავის ოდენობა (ლიტი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	ბენზინი - პრემიუმი	200
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	დიზელი-ევროდიზელი	200
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	ბენზინი - პრემიუმი	200
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	4	ბენზინი - პრემიუმი	100
5	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1	დიზელი-ევროდიზელი	100
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	ბენზინი - პრემიუმი	150
7	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	6	ბენზინი - პრემიუმი	100

8	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2	დიზელი-ევროდიზელი	100

2. საკრებულოს თანამდებობის პირებისათვის საწვავის გაცემა მოხდეს საბარათე (უნომრო) სისტემით.

3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს შესაბამისი რაოდენობის ბარათების დამზადება.

4. ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის N51 08 განკარგულება.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი